148

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 21 აგვისტო 1915 წ. № 74

საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა; დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხარფუხის კლუბი"

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

ერთი კვირის პროგრამა 21—23 აგვისტომდე

პარასკევს 21 აგვ. სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ ბალში დაუკრავს ორკესტრი.

შაბათი 22 აგვისტო ოპერეტა ქართულ ენაზე, ბალში დაუკრავს ორკესტრი. ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

კვირას 23 აგვისტოს მოლოროსიული სპექტაკლი შესვლა უფასოა. ბალში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, წარმოდგენის 9 საათზე. საბავშო საღამოს 5—9 საათამდე სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ახალი სკოლა პანსიონით

გიმნაზიის პროგრამით

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება საღამოს 4-დან 7 საათამდე, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—1

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი"

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

თბილისის ნოტარიუსი

გ. ლ. მაჭავარიანი

სურამში ნამყოფი

ხსნის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ერევნის მოედანზე № 3, ვაჭრების ბანკის შენობაში

პირველხარისხოვანი

სასადილო

„კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოხელიანი.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და **საღ.** 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გადაწერას საწერ **მანქანის**

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ომის დღიური

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანელი გუბერნატორი კურლიანდიაში.

ბერლინიდან იუწყებიან რეიხსტაგის კონსერვატორი დეპუტატი გოსლერი, რომელიც ერთ დროს ტილზისში ლანდრატის თანამდებობას ასრულებდა კურლიანდიის გუბერნატორად ინიშნება.

გერმანელები კურლიანდიაში.

გერმანელების მიერ აღებულ კურლიანდიის ქალაქებისა და დაბების—ყველა სასწავლებლებში სწავლა დაიწყო. საზოგადო სკოლებში სწავლება მოწაფეთა უმრავლესობის დედა ენაზე; ყველა სათემო სკოლაში სწავლა ლატიშურ ენაზე სწარმოებს, ქალაქებში კი გერმანულ და ლატიშურ ენებზე.

მომავალი ავსტრია-გერმანეთის ულტიმატუმი რუმინიისადმი.

ბერლინში დაბეჯითებით ლაპარაკობენ რუმინიის აქტიურ გამოსვლის შესახებ ოთხთა შეთანხმების სასარგებლოდ, ბერლინის პოლიტიკური წრეები ამტკიცებენ, ცენტრალ გერმანიის სამთავროები მოუმზადებელად რომ არ დაუხვდნენ რუმინიის გამოსვლას, ახლომომავალში ულტიმატუმს გაუგზავნიან მას და განმეორებითი მოსთხოვენ სამხედრო მასალების გაზიდვის უფლებას ოსმალეთში.

გოლდინგენში.

როგორც გოლდინგენიდან გამოქცეულები იუწყებიან, გერმანელებს გოლდინგენში მაზრის უფროსად ბარონ რადენა დაუნიშნავთ, ხოლო ქალაქის თავად სილვიო ბრედრიხი.

ვინდავაზე გაუდვიათ ხის ხიდი.

* * *

ინგლისმა ომში გამოიყვანა 2 მილიონი მოხალისე, ამდენს კიდევ ამზადებს. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებთან ექვსი ათასი სტუდენტი მოხალისედ ჩაიწერა და ბრძოლის ველზედ წავიდა. იტონის კოლეჯიდან, რომელიც ყველაზედ უფრო არისტოკრატიულ სკოლად ითვლება მთელს ინგლისში, 2200 შეგირდმა თოფ-იარაღი აისხა და სხვებთან ერთად იბრძვის ინგლისის სახელისა და გამარჯვებისათვის. ამ მოწაფეებიდან 346 მოკლულია, 432 დაჭრილი, 52 ტყვედ წაყვანილი, რომელთაგან 21 გარდა ყველა დაჭრილია. ყველა ეს ამტკიცებს რომ ინგლისის ხალხი გმირი ხალხია, რომ მასში რაინდული სული ცოცხალია და ძლიერია, სწერს ცნობილი ფრანგ პოლიტიკ-ეკონომისტი შარლ ჟიდი ინგლისურ გაზეთ „დეილ ნევში" გერმანელ ცნობილ ეკონომისტ პროფესორ ზომხარტის საპასუხოდ.

ზრუნვა ჯარისკაცთა და მათი ოჯახების შესახებ.

პროგრესისტების ჯგუფმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება, რომლის ძალით იგი მოითხოვს იმ კანონების გამოცვლასა და შევსებას, რომლებიც შეეხებიან ჯარისკაცთა და მათი ოჯახებისთვის ზრუნვა-დახმარებას და რომლებიც გამოცემულია სხვა და სხვა დროს, 1912 წლის 25 ივნისს და 1914 წლის 21 აგვისტოს. პროგრესისტები მოითხოვენ რომ უფრო ვრცლად და მკაფიოდ იქნას გამორკვეული, თუ ვინ არის ღირსი ზრუნვა-დახმარებისა. მათი აზრით დახმარება უნდა მიეცეს:

1) ჯარისკაცების კანონიერ და უკანონო ცოლშვილს, უკეთუ ეს უკანასკნელნი ჯარში გაწვეულების გარჯით სცხოვრობენ.

2) ჯარისკაცთა თვით მამას, ბაბუას, ბებიას, ძმებსა, დებსა, გერებს ძმის და დისწულებს, სიმამრს, სიდედრს, დეიდებს და მამიდებს, დედინაცვლებს, მამინაცვლებს, ძმობილებსა და დობილებს, აყვანილ სხვის შვილებს, უკეთუ ყველა ესენი სცხოვრობდენ ჯარში გაწვეულის შრომითა და გარჯით. (დენ.)

განცხადება კოსტრომის გუბერნატორისა.

კოსტრომაში მომხდარ არეულობისა და მუშების დახვრეტის გამო კოსტრომის გუბერნატორმა წარუდგინა შინაურ საქმეთა მინისტრს თვისი მოხსენება. იგი ამტკიცებს, რომ კოსტრომის ამბები გამოძახილი იყო მოსკოვის „პოგრომისა" და ორივე ამბავს ერთი და იგივე ხასიათი აქვსო. თავის მოქმედებას გუბერნატორი ასე ხსნის: აუცილებლად საჭირო იყო დაცვა ბრბოსაგან იმ სამრეწველო დაწესებულებათა, რომელნიც ჯარისთვის საჭირო მასალას ამზადებენო. მას თვისი მოქმედება სწორი და კანონიერი ჰგონია და უკვირს ულოლიკობა მათი, ვინც მოსკოვის ამბებს მთავრობის უმოქმედობას აბრალებს და ამავე დროს ამტყუნებს მთავრობას, რომელმაც კოსტრომაში მოქმედება გამოიჩინა და წესიერება აღადგინა. გარდა ამისა, გუბერნატორი აცხადებს, რომ იარაღის გარდა წესიერების აღსადგენად მე არავითარი სხვა იარაღი არა მქონდაო (რ. ვ.)

* * *

კიევის გაზეთები იუწყებიან, რომ იმ დროს, როცა ლუცკის მიდამოებში ბრძოლა სწარმოებს, ამ რაიონიდან არ გამოაქვთ აუარებელი საწყობები პურისა, თივისა და სხვა და სხვა სურათისა.

* * *

ორენბურგში დააპატიმრეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი კობოზევი. მიზეზად ასახელებენ მოხსენებას, რომელიც მან წაუკითხა კომიტეტს.

* * *

ბრძოლის რაიონებიდან ებრაელები კვლავ დედიან-ბუდიანად მოჰყავთ შუა რუსეთში. ძალით გამოჰყავთ აგრეთვე ყველა, ვინც გზების მახლობლად სცხოვრობს.

* * *

ბელოვეჟის სასახლე დასცალეს. ზუბრები ულრან ტყეებში გაუშვეს.

თათბირი მოსკოვში.

სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო კავშირთა კრებაზე მოსკოვში გამოითქვა აზრი შესახებ იმისა, რომ საჭიროა სატახტო ქალაქი პეტროგრადიდან მოსკოვში გადავიტანოთო. დიდი კამათი გამოიწვია სათათბიროს მნიშვნელობის დაფასებამ. ბრალსა სდებდნენ სათათბიროს, თვისი მოვალეობა ვერ შეასრულაო. ზოგნი ამტკიცებდნენ, გაერთიანებულმა საზოგადოებამ სათათბიროს უნდა გადააბიჯოს და პირდაპირ მთავრობასთან დაიჭიროს საქმეო. ბოლოს მაკლაკოვის აზრმა გაიმარჯვა. დაადგინეს მხარი დაუჭირონ სათათბიროს.

ამავე კრებაზე აღინიშნა, რომ თ-დმა ლვოვმა, რომელსაც კარგად იცნობენ საზოგადოება და მთავრობაც, უნდა გასწიოს შუამავლობა და მოაწყოს საკოალიციო სამინისტრო.

გადამწყვეტი ბრძოლა.

„ფოსიშე ცაიტუნგი" სწერს: გენერალმა ჟოფრმა მოწოდებით მიჰმართა საფრანგეთის ჯარს, რომელსაც ჰპირდება, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდება ზამთარში რეინის ხეობაშიო.

გერმანიის კრეისერები წყნარს ოკეანეში.

„Zap. Tim." ამბობს, რომ ხმები, ვითომც წყნარს ოკეანეში გერმანიის დამხმარე კრეისერები გაჩენილიყვნენ, საფუძვლიანია. იაპონიის კრეისერებს „აკაშის" ებრძანა მიატოვოს ძაკოხგის ნავთსადგური და ვალადიდოს სამხრეთ ზღვებში დარაჯობა, რათა გერმანელთა კრეისერების თარეშს მოუღოს ბოლო. ქ.

შამპანი ღვინო ჯარში.

დღევანდელ ომში გერმანელები აუარებელ შამპანიურს ხარჯავენ ბრძოლის ველზე. სანგრებში თუ ბატარეებში მოწყობილია პატარ-პატარა „კაბაკები", საიდანაც მცირედ ფასში შოულობენ საუკეთესო ხარისხის შამპანიურს. (კ.)

პრემიები მფრინავთ.

ლორდ მიჩედხემს ათი ათასი მანეთი დაუნიშნია იმ მფრინავებისთვის საპრემიოდ, ვინც ცეპელინს გაანადგურებს. „journal"-ი გადმოგვცემს. რომ პრემია მიეცემათ უცხოელ მფრინავთაც, ვინც-კი მონაწილეობას მიიღებს ცეპელინების დალუპვაში. (კ.)

ომის სურათები

გერმანეთის არტილერიის ქარიშხალური ცეცხლი განაგრძობდა თვით გამანადგურებელ მუშაობას. წაგვერთვა ყოველგვარი საშუალება, რომ დაჭრილები უშიშარ ადგილას დაგვებინავებინა. მდგომარეობა წუთ-წუთობით უფრო და უფრო უარესდებოდა. გერმანელებმა ცოფიანი იერიში მოიტანეს აუარებელი ზარბაზნით. აღიმართა მთელი მთა დახოცილ გერმანელთა, მაგრამ მათი ახალ-ახალი წყება შეუჩერებლივ, წინ მოიწევდა და საშინელის სიმკაცრით ეძგერა ათი საათის ბრძოლით დაქანცულ რუსის ჯარისკაცებს. გზა არ იყო, რუსის ჯარს უნდა უკან დაეხია. პირველ-ყოვლისა, დაჭრილები უნდა გაეყვანათ და მათ შორის მეც. სწორედ ამ დროს გონს მოვედი. სხეულში საშინელი ტკივილები მივლიდა, ყოველი ცდა ან ერთ მხარეზე გადაბრუნებულვიყავ ან მეორეზე გამოუთქმელ ტანჯვას მგვრიდა. მაგრამ მაინც მახსოვს, თუ როგორის გზით მოვყავდით. ჩვენს გარშემო გაშლილ ტყითგან დარჩა მხოლოდ უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი წაქცეული ხეები, თითქოს საშინელ ქარიშხალს მოევლოს იქაურობა. ფართე ველი თვალწინ გადაგვეშალა. მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და

უკან იწოდა სოფლები, რომლებისთვის ცეცხლი მოედო ზარბაზნების ყუმბარებს. ალის გრძელი ენები ერთმანეთში შერეულიყო და შავ ბოლით მობურულ ცას პირისახეს ულოკავდა. მთელ ველს მტრის არტილერიის ყუმბარები სერავდა. ესროდნენ იქაც, სადაც დაჭრილების ჯგუფი იდგა და გაცლას ეშურებოდა, ესროდენ ცალკე ფიგურებსაც. რვა ვერსი სწორედ ამ საშინელ ცეცხლ ქვეშ გავიარეთ... დაჭრილებით დატვირთული მატარებელი დაიძრა, სროლის გამაყრუებელი ხმაური არ შეწყვეტილა. ჰაერში გამსკდარ შრაპნელებისაგან ღრუბლები ეგებოდა, დედა-მიწაზედ მტვერის კორიანტელი, უზარმაზარად გაშლილი ბოლი. გავრბოდით ამ ჯოჯოხეთიდან, საცა გაწმენდილი ცა იყო, სადაც მოალერსე თბილი მზე უხვად აბნევდა სხივებს. კიდევ ერთი საათის გზა—და ირგვლივ სრულ სიჩუმეში ამოვყოფდით თავს. სადგურებზე სრული სიწყნარეა, თითქოს ყველაფერი რაც აქამდის მოხდა, ძილი და სიზმარი ყოფილიყო. აქვე გვერდით დგას საერობო კავშირის მატარებელი. სათნო დები ჩვენსკენ მორბიან. მარტოდ მარტო არიან, უექიმოდ და არ იციან, რა ქნან. მიეშურებიან ქალაქ ი-ში, ხოლო იქიდან უკანასკნელი საქონლის მატარებელი გასულია. სჩანს სათნო დებს გათვალისწინებული არ აქვთ მდგომარეობის სირთულე და ამიტომაც ვერ იქმნა, ვერ დავიყოლიეთ ხელი აელოთ ამ გვარ განუხორციელებელ განზრახვაზედ... გზა განვაგრძეთ. ორთქლმავალის ბოლი შემომეხვია, თანაც წვიმდა, და წვიმის წვეთები პირისახეზე მესხმოდა; წყალი და ბოლი ერთმანეთში აიზილა და პირისახიდან ტლაპო გადმომდიოდა, მაინც კმაყოფილი ვიყავი. ამ მატარებელს რომ არ მოვხვედროდი, ვინ იცის იქნებ გერმანელებს მოესწროთ კიდეც ქალაქ ი-აში.

აი ლ.-იც სადგურზე სიჩუმეა. ამბობენ მთელი ქალაქი მზად არის ყოველ შემთხვევისათვის; რაც გასაზიდი იყო, ყველაფერი გაზიდულია. რაც გოსპიტალი ყოფილა ყველა გადაუტანიათ სხვაგან. ამიტომაც ჩვენ ყველანი მივყევართ რუსეთში, რომელსაც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ასეთი სიყვარულით ვიგონებდით კარპატის მთებში. სასანიტარო მატარებლის ბორბლები საამურად მირახრახებენ სიწყნარით მოცულ სოფელ-სოფელ. მხოლოდ საზღვარზედ გამართული და უკვე ნახევრად ამოვსებული თხრილები და სანგრები, რომლებიც ერთი წლის წინეთ იყო გაკეთებული, გვაგონებენ რომ აქაც ომი ყოფილა, ხოლო პატარა ხის ჯვრები, რომლებიც აქა-იქ მოსჩანს გვაუწყებს, რომ აქაც შეუწირავთ მსხვერპლი ომის საშინელ ღმერთისათვის.

(რ. ვ.).

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ფინანსების მინისტრი უერთდება საფინანსო კომისიის სურვილს, საფინანსო გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ. ომის დასაწყისში ეს ვერ გაკეთდებოდა, რადგან არყის გაყიდვის გაუქმებამ ბიუჯეტი შეამცირა და შესწორება უნდოდა. მინისტრს რომ გადასახადების შემცირების მაგიერ გეგმები შეემუშავებინა, მაშინ ფული არ გვექნებოდა და გვისაყვედურებდნენ: თქვენ კაბინეტებში მუშაობთ და მოქმედებას კი არ იჩენთო. ეხლა გადასახადების წყალობით, მეტი ფული შემოდის. მინისტრი გადადის სესხზედ და ამბობს რომ, თუმცა შინაგან სესხმა მიაღწია არყოფილ ზომას—სამ მილიარდს, მაინც ხალხში იმდინი სიმდიდრეა, რომ ახლო მომავალში, სამინისტრო კიდევ მიაქცევს ყურადღებას ამ სიმდიდრის გამოყენებას რაც შეეხება საზღვარ-გარეთელ სესხს, მინისტრს ეჭვი არა აქვს, რომ მოკავშირეებთან მომავალ ხელშეკრულობის ძალით, რუსეთი შესძლებს უზრუნველყოფას მომავალი სესხის გადახდასაც. ზედმეტი ფულის მოსაგროვებლად ხალხისაგან, სამინისტრო აფართოვებს და ამარტივებს შემნახველ კასების მოქმედებას. პრესაში შეცდომით იყო აღნიშნული, ვითომ მინისტრს ეთქვას კერძო ბანკებზედ რომ ისინი სახელმწიფო თანხებით კი არა მოქმედობენ, არამედ საკუთარით. აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, ვითომ მეთქვას, რომ კერძო ბანკებზედ გავლენას ვერ ვიქონიებთო. პირიქით, მინისტრს არამც თუ უფლება აქვს, არამედ მუდამ თვალყურსაც ადევნებს კერძო ბანკების მოქმედებას ნორმალ პირობების გადაცდენის დროს, მაშინვე ზომებს იღებს. ასეთი ზომებით იყო შეჩერებული სპეკულიაცია შაქრით და ფულის ვალიუტით. კერძო ბანკებს, რომელნიც აგროვებენ კერძო პირების ფულს, დიდი სარგებლობა მოაქვთ სესხის გაწერის დროს. სამ მილიარდ სესხიდან, კერძო ბანკებმა გაიწერეს ერთი მილიარდი და 600 მილიონი. მინისტრი ემხრობა მომხსენებელის აზრს, რომ შემცირდეს საქონლის შემოტანა საზღვარ-გარედან და გაძლიერდეს გატანა. საუბედუროდ ამას ხელს უშლის ომი. სამინისტრომ ყველა ზომა მიიღო ოქროს ფულის შესანახავად. თუმცა ოქროს გატანის აკრძალვა ეხლახან გამოცხადდა, მისი გატანა შეზღუდული იყო უკვე გიორგობისთვეში და თითქმის მოისპო კიდევაც. თუმცა მინისტრი თანაუგრძნობს ხალხისადმი მიმართვას, რომ ოქრო შემოიტანონ სახელმწიფო ბანკში, მაგრამ იმედი არა აქვს დიდი შემოსავალისა, რადგან ხალხის ხელში გაცილებით ნაკლები ოქროა, ვიდრე ეს იყო საფრანგეთში. დღეს ყველა ფორმალობა სახელმწიფო ბანკში ოქროს მიღებისა განდევნილია. დასახურდავებელ ფულის გაქრობა აიხსნება ფსიხობით. დღეს ყველა ზომაა მიღებული, რომ ხალხს დასახურდავებელი ფული ჰქონდეს. ვინც ხურდა ფულს შეინახავს, მინისტრი აგონებს, რომ ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან, როცა აღსრულებაში მოვა კანონი, რომლის ძალითაც სახელმწიფო კასები არ მიიღებენ ხურდა ფულს ერთი პირისაგან სამ მანეთზე მეტს.

კარაშინი აღნიშნავს წვრილი სესხის დაწესებულებათა ნაკლებ მუშაობას, რადგან ისინი მარტო კანტროლს უშვებიან, იმის მაგიერ, რომ ქვეყნის მწარმოებელი ძალები განავითარონ.

პოლოვცევი მეორე გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ არ გაუშვას საზღვარგარედ შლაკი, რომელიც შეიცავს კიდევ ძვირფას ლითონს და სახელ[illegible] ლითონის გამოსაღნობად; რომ შემოღებული იყოს მონოპოლია პლატინის (თეთრი ოქროს) ვაჭრობისა, რისაგანაც მთავრობას, ორატორის აზრით, დარჩება 22 მილიონი მოგება.

მარკოვი მეორე აღნიშნავს, რომ ხურდა ფულის გაქრობა არ აიხსნება მარტო ხალხის გულუბრყვილობით. აქ მოქმედებს გერმანიის ბოროტი აგიტაცია ქაღალდის მანეთიანის წინააღმდეგ, რის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქმნას მიღებული თუნდაც ამ ზომებმა პიროვნების თავისუფლებაც შელახონ—რადგანაც არეულობა გერმანეთის მოკავშირეა. შემოსავლის გასადიდებლად მემარჯვენენი მოითხოვენ მონოპოლიას ჩაიზე, წუმწუმაზე, შაქარზე და ნავთზე. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს ის მოვლენა, რომ მაგარ სასმელებით ვაჭრობის აღკრძალვა მოხდა თვითმპყრობელის ბრძანებით. საკანონმდებლო დაწესებულებს ასეთ განკარგულების ცხოვრებაში გატარება არასოდეს არ შეუძლიათ. დასასრულ, ორატორს ფორმულა შეაქვს, რომელშიაც მოითხოვს დაუყონებლივი ზომები იქმნას მიღებული მანეთის ღირებულების დაცემის წინააღმდეგ, რომ შინაურ ვაჭრობიდან ოქრო გამოირიცხოს და სახელმწიფო ბანკებში იქმნას შეგროვილი, რომ დადგენილი იქმნას სავალდებულო შესყიდვა ოქროსი და საზოგადოთ ოქროს ნივთებისა ხაზინის მიერ და რომ ოქროთი წარმოებამ მიიღოს ფართე ხასიათი, ფინანსთა მინისტრი შეუერთდა მარკოვის განცხადებას და მხარი დაუჭირა ნაქსოვებზე გადასახადის დაწესებას. ეს კანონპროექტი სამინისტროში მუშავდება და ახლო მომავალში საკანონმდებლო დაწესებულებებს გადაეცემა ნაქსოვზე გადასახადის დაწესება წლიურად 150 მილიონ მანეთს იძლევა.

სამინისტროში მუშავდება აგრეთვე კანონ-პროექტი წუმწუმის და ჩაის მონოპოლისა.

სკობელევი ამბობს, რომ ქაღალდის ფულის დაბეჭდვა უადვილესი საშუალებაა ფულის შოვნისა, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ამას არეულობა შეაქვს სახელმწიფო ფინანსებში და გავლენა აქვს მანეთის ფასზე.

ვოსტროტინი ამტკიცებს, თავის დროზე რომ მოესპოთ ზედმეტი წესები ჩვენი საგარეო ვაჭრობისა, საქონლის გაზიდვა დიდძალ ოქროს შესძენდა რუსეთს. გარდა ამისა, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ სავსებით ნავთსადგურები ვლადივასტოკისა, არხანგელსკისა და ციმბირის ჩრდილოეთი გზები, რის გამო დავკარგეთ ნახევარი მილიარდის ოქრო, რომელიც უცხოეთიდან უნდა შემოსულიყო, და ფასი დავუკარგეთ ციმბირის ხორბლეულობას.

მომხსენებელი **შინგარევი** დაასკვნის კამათს, პასუხს აძლევს ფინანსთა მინისტრს და ამბობს: მოსაწონი იქნებოდა მთავრობის უკიდურესი და ენერგიული ზომები საჭირო თანხის საშოვნელად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მთავრობას არავითარი გარკვეული გეგმა არ ჰქონია და არც ჰსურდა თვისი მოქმედება შეეფარდებინა საკანონმდებლო დაწესებულებასთან. როცა აქ ლაპარაკობენ სახელმწიფო ბანკის საკომისიო უფლების გაფართოვებაზე, აზრად აქვთ დაეხმარნენ არა მთავრობას, არამედ რუსის სახელმწიფოს. ეხლანდელ საშინელ დროში ჩვენ მოვალენი ვართ მივცეთ მთავრობას რაც შეიძლება მეტი სალსარი ომის გაგრძელებისა და დასრულებისთვის. ეს არის აუცილებელი საჭიროება არა ამა თუ იმ მთავრობისა, არამედ სამშობლოსი, რომელიც თხოულობს, რომ მტერი მის საზღვრებიდან განდევნილ იქმნეს (ტაში ყოველ მხრივ). ამ ჟამად ქაღალდის ფული რუსეთში არ აღემატება იმ ნორმას, რომელიც მიღებულია გერმანიაში მშვიდობიანობის დროს. დეპუტატი სკობელევი შეუგნებლად ამტკიცებს; ვითომ შესაძლებელია რაღაც გაკოტრება ჩვენი ფინანსიურ სისტემისა. სკობელევი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა მუშა ხალხს, რომ ეთქვა: ქაღალდის ფულს რომ ვბეჭდავთ, ისეთივე გონიერ ზომიერებას მივდევთ, როგორსაც მისდევენ სხვა უდიდესი სახელმწიფონი. დასასრულ შინგარევი აცხადებს: „ოდესღაც აქ ნამინისტრალ გრაფ კოკოვცევს ვეკამათებოდი საბიუჯეტო საკითხის შესახებ. მაშინ გავბედე და ვთქვი, რომ მოახლოვებულ სახელმწიფო უბედურების დროს ასეთს პოლიტიკას მოჰყვება არევ-დარევა ქვეყნის შინაურ საქმეებისა, ხოლო ქიშპობა ერთა შორის და განაპირა კუთხეებში არსებული პოლიტიკა დიდ ვნებას მოგვიტანს-მეთქი. მაშინ გავბედე და ვიხმარე პოეტის სიტყვები: „ერი ღატაკი და მორჩილი საერთო უბედურების დროს დაყრუვდება“. სინდისის ქვეშ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ ვცდებოდი. ერი მორჩილი საერთო უბედურობის დროს არ დაყრუებულა (ირგვლივ ხანგრძლივი ტაში).

სათათბირომ მიიღო ფორმულა, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ მთავრობამ მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა ქაღალდის ფულის დახურდავებაზე უარის თქმა ვერავინ გაბედოს და დასჯილ იქმნეს სასტიკად ყველა, ვინც გაბედავს ოქრო-ვერცხლის ფულის სყიდვას და შენახვას.

შემდეგი სხდომა 19 აგვისტოს.

ან-ჩინის წიგნი და ქ. რაჭველი

როდესაც ან-ჩინის წიგნაკი გამოვიდა, არავინ ეძებდა მის მეცნიერულ ღირებულებას, რადგან მეცნიერება ის ცხვირი არ არის, რომლისაც ყველგან შეჩხირვა შეიძლებოდეს. ეს წიგნაკი, დაწერილია გულწრფელად, გულწრფელი დეკლარაცია არის ჭკვადამჯდარის ადამიანისა, რომელიც თვისი ცოდნით, ფიქრით და მეცნიერული შემზადებითაც მივიდა ამ დასკვნამდე და ეკამათება თვისავე ამხანაგებს, რომელთა რიცხვში არიან უკიდურესი ორტოდოქსებიც, ვინც უმორჩილებს თვის გონებას და ზრახვას დაზეპირებულ ფორმულებს და ისეთებიც, ვინც გონების მახვილობას და ანალიზის უნარს არა ჰკარგავს. აი ასეთი წიგნაკით გამოვიდა დღეს ან-ჩინი და სრულის ლოღიკური განვითარებით მიდის იმ დასკვნამდე ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმმართველობის საკითხებში, რომელნიც დიდ ევოლიუციად ® ყოველ ქართველისათვის სასურველ სინათლის შეტანად უნდა ჩაითვალოს დასელების დასებში. და იმის მაგიერ, რომ ამ ფრიად სიმპტომატიურ და თვალსაჩინო მოვლენას ანგარიში გაუწიონ, პროზელიტიზმი გაამაგრონ, გამომდგარა ვინმე ქ. რაჭველი, რომელიც არამც თუ პოლიტიკის და მეცნიერების, არამედ უბრალო სკოლის სკამსაც ვერ გასცილებია, თვალზე წირპლი ვერ მოუწმენდია და თამამად იძახის: ეს წიგნი მეცნიერულად დასაბუთებული არ არის და ზოგან ბავშვის ტიტინსაც მაგონებსო. ესეთი თავხედობა მხოლოდ ჩვენს ბავშვებს შეუძლიათ, ჩვენს ბავშურ პრესაში, თორე განა სადმე ნება ექნებოდა შინზრდილ და გალაღებულ პენსიონერს ასეთის ენით დაჰყეფოს იმას, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობა არც კი გაეგება? საუბედუროდ, ჩვენ სხვა საშვალება არა გვაქვს ასეთი უბადრუკი მწერების ასალაგმავად, გარდა იმ გულისწყრომისა, რომელსაც უცხადებთ რაჭველისთანა უწვრთნელ პუბლიცისტებს.

რ. გ.

შენიშვნა

გაზეთ „საქართველოს“ მოუვიდა ცნობა და საბუთები, რომ უცნობ პირებს შეუკვეთნიათ ჩვენი სახელობის ბეჭედი და რედაქციის სახელით უგზავნიან სამეურნეო ბანკის დირექტორის ამოსარჩევ მოწოდებას. საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ რედაქციას არც ასეთი დადგენილება გამოუტანია და არც ვისთვისმე საამისო ნებართვა მიუცია.

გაზ. „საქართველოს“ **რედაქცია.**

—

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა.

მოულოდნელი ექსკურსია

მართლაც, სრულიად მოულოდნელი იყო ჩემი შიომღვიმისკენ გამგზავრება. ის-ის იყო, შინ ვბრუნდებოდი, რომ ქუჩად მეგობარი შემომეყარა და ტრამვაით სადგურისაკენ გამიტაცა: „ინტელიგენტები მეტად ზარმაცები ხართ,—მეუბნება,—არც ერთი თქვენგანი გროშად არ ღირხართ. ამბობთ, სამშობლოს შველა უნდაო, რაინდებათ მოგაქვთ თავი და რომ კონკრეტად წამოგიყენოთ საკითხი, სადაა თქვენი სამშობლო, რა შეადგენს მის სიმდიდრეს, ძნელად თუ ვინმე მიპასუხოთ. აი, ეხლა თვით თქვენც, აბა გულზე ხელი დაიდეთ და ისე მითხარით, ყოფილხართ შიო-მღვიმეში?

— არა.

— გაგიმარჯოთ. და თქვენი მზგავსი [illegible] შეიძლება ჩამოვთვალოთ.

მისი ყვედრება გულში ჩამწვდა. კიდევ კარგი, სადგურზე სხვა ნაცნობებიც გამომიჩნდნენ, თორემ თქვენი მტერი, რომ ის დამახრჩობდა.

მატარებელმა საღამოს ხუთის ნახევარი იქნებოდა, რომ შიო-მღვიმის პლატფორმაზე მიგვიყვანა. აქედან დავეშვით. ბორონთან რო მიველით მტკვარზე გადასასვლელად, მაშინვე ვიგრძენით, რომ არა ჩვეულებრივ კუთხეში მოვექეცით. ნაპირიდანვე მეორე მხარეს ვხედავთ მოფუსფუსე ბერ-მონაზვნებს. კალო მოულეწიათ და ახლა ჰხვეტავენ. ეს ჩვენებური ანაქორიტები ერთგვარ ინტერესს იწვევს თქვენში, გაფიქრებთ აწმყოზე, გაფიქრებთ დღევანდელ წარმოუდგენელ არა ადამიანურ გლეჯა-ფლეთაზე და ამავე დროს ასე მოიდილიე ხალხის მყუდრო ცხოვრებაზე, რომელნიც არავის არას უშვებენ და თავიანთ ასე შრომაში და ლოცვაში ატარებენ დროს. ვინაა ამაში მართალი, ვინ? ეკითხებით თავს,—ისინი, ვინც ზარბაზნებით იბრძვიან თუ ესენი, რომელნიც ასეთის ოლიმპიურის სიმშვიდეთი სძლევენ და ამარცხებენ იმ ცხოვრებას, რისთვისაც მთელი სახელმწიფონი გლახურის ატტყინებით ერთს ურთს სწვდებიან ყანყრატოში.

მებორნემ გადაგვიყვანა მეორე ნაპირზე. კალოზე მისვლისას ბერ-მონაზონნი მოგვესალმნენ და მონასტრისკენ გაგვითითეს მაშინვე გავიგეთ, ეპისკოპოსი ლეონიდე აქ არისო, რამაც მეტად გაგვახარა.

შევუდექი მწირსა და უდაბნო კალთებს. აქ ყოველისფერი საგულისხმიეროა, ყოველისფერი იდუმალის ხმით მოგითხრობთ ათას გადამხდარ ამბებს, რომელთაც თვალწარმტაც ლეგენდების ადგილი დაუთმო ჩვენს ისტორიის ფურცლებზე. რაც მაღლა იწევთ, რაც უახლოვდებით წმიდა სამყოფელს, იმდენად უფრო მეტი სურვილი გებადებათ ჩვენს ისტორიის დამამშვენებელ ფურცელთა გადაშლა. აი, ცოტაც და მივალთ... აქ პატარა ნიშია. ხის სკამი დასასვენებლად. ნიში ხისაა, შით ხატით. სამწუხაროა, რომ მნახველთ სულ დაუბღაჯნიათ და არასაკადრისი წარწერებით აუვსიათ იგი. მეტადრე ერთი წარწერაა გულის ამღვრევი: ვინმე ვართანიანცი ასე სწერს ქართულ[illegible] რაღა, საქართველოს [illegible] გვირგვინი მოევლინება და აგვამენებთ... ვართანიანც...“

ზემოდ სულ რაღამდენიც საჟენი დაგვრჩა ასასვლელი. წყაროზე შევიხედეთ, რომ გავგრილებულიყავით. აქ ერთმა მწირთაგანმა გვიხელმძღვანელა მონასტერში ასასვლელად. კართან ჩამოგვეცალა. ეზოში კი შესვლისთანავე აივანზე შევნიშნეთ ჩვენი მღვდელმთავარი. იგი გართობილი იყო გაზეთებში. ფრიად გაეხარდა მოულოდნელ სტუმრების ნახვა. ფართოდ გააღო კარი და თავაზიანად გვთხოვა შესვენება აივანზევე.

დ. კახრაძე.

(დასასრული იქნება).

ახალი ამბავი

◆ **გამოქცეულ სომეხთა დახმარება.** სომხების ცენტრალი კომიტეტი სამაგალითო ენერგიას იჩენს ოსმალეთიდან გამოქცეულ სომხების დახმარების საქმეში. როგორც ვიცით, ეჩმიაძინში 35 ათასამდეა თავმოყრილი ეს გამოქცეულნი. ამ რიცხვში მომეტებულ ნაწილს შეადგენენ დედა-კაცები და ბავშვები. ცენტრალი კომიტეტი ამათ მოთავსებას, მთავრობის ნებართვით, აპირებს მომეტებულ ნაწილად ერევნისა და განჯის გუბერნიებში. ეხლა-კი კომიტეტი გამოქცეულთათვის ხსნის საკვებ პუნქტებს. უკვე გადაწყვეტილი აქვს კომიტეტს 5 ასეთი პუნქტი გახსნას ეჩმიაძინსა და ალსტაფას შუა. სასადილო, საავადმყოფო და აბანო. ამას გარდა კომიტეტმა გადასწყვიტა თავშესაფარი მოაწყოს 3 ათას ბავშვისათვის დილიჟანში, საცა სხვათა შორის, წერა-კითხვის სკოლაც იქნება გახსნილი. თვით ეჩმიაძინში რამდენიმე ათეულ სომხის ახალგაზდა ინტელიგენტი არის წასული, რომელნიც უსასყიდლოდ მზრუნველობას უწევენ მშიერ-მწყურვალ და დაავადმყოფებულ გამოქცეულთ.

◆ **ხოლერა.** 19 აგვისტოს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს ხოლერიანი 9 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი; გარდაიცვალა 3 კაცი; საავადმყოფოში იმყოფებიან ამ ჟამად ხოლერიანი 79 და ხოლერის ნიშნებით 14 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 20 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 33, ხუნაგიანი 15, ყვავილიანი 2, მუცელაიანი 3, საოფლიანი 21 და შავი სახადიანი 33 კაცი.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოება სოხუმში.** როგორც გავიგეთ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისათვის უთხოვია სოხუმის საზოგადოებას, რომ თქვენი განყოფილება დაარსეთ სოხუმშიო. საზოგადოების მთავარი გამგეობა თანახმაა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა.

◆ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, „ახალ კლუბის“ დარბაზში კრება იქნება მომხმარებელ ამხანაგობის „მეურნის“ გამგეობას.

◆ **სანიტარული დათვალიერება.** 19 აგვისტოს სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერა 4 აბანო, 10 სასადილო და 17 ხილის სავაჭრო სახლი. ბევრგან დიდი უსუფთაობა აღმოჩნდა. კომისიამ რამდენიმე ოქმი შეადგინა და უვარგისი ხილი მოსპო.

◆ **სურსათი.** 19 აგვისტოს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 6 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., მადნეული წყალი 2 ვაგ., ბრინჯი 144 ფუთი.

◆ **გაქცეული ჯარისკაცი.** 17 აგვისტოს პოლიციამ შეიპყრო გამოქცეული ცარის კაცი ა. ს. აბირჯანოვი, რომელიც თბილისის მაზრის სამხედრო უფროსს გადასცეს.

◆ **თბილისის გუბერნიის** თავად-აზნაურთა კომიტეტს, რომელსაც მიზნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ამ გუბერნიიდან გაყვანილ ჯარის კაცთა ოჯახებს 11 აგვისტომდე ჰქონია შემოსავალი სულ 40,621 მან. 20 კაპ. ამ ფულიდან დახარჯულა: 1) წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთის შესანახად 29,099 მან. 89 კაპ., 2) ჯარის კაცთა ოჯახებისათვის ფულად 4,036 მან., 3) კომიტეტის კანცელარიის შენახვა 1,133 მან. 55 კაპ. სულ ხარჯი 34,269 მან. 44 კაპ. შემონახული აქვს კომიტეტს ყოველ შემთხვევისათვის 6,351 მან. 36 კაპ. ლაზარეთში არის ამ ჟამად 81 საწოლი.

—

დ. ხონი.

— პარასკევს 14 ავვისტოს, დუქნის ბიჭი გაქანებულ ცხენიდან წყალში გადმოვარდა და დაიხრჩო.

— 15 ავვისტოდან „სინემა სხივმა“ მუშაობა განაახლა. „სინემას“ დიდძალი ხალხი ეტანება.

— კვირას 16 ავვისტოს, წარმოადგინეს „მშვენიერი ელენეს მაძიებელი“ და ვოდევილი „უბედური დებიუტი“.

კოვნოს აღება

კოვნოს ციხის ეპოპეა ორი მომენტისაგან შესდგება. ორი საშინელი ღამე გამოიარა ციხემ, ორი შემაძრწუნებელი მძაფრი ღამე, როდესაც მის თავზე ცეცხლის წვიმამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ის-ის იყო მზე ჩადიოდა 30 ივლისს, რომ გერმანელთა უზარმაზარმა ზარბაზნებმა პირი მოჰხსნეს და სიკვდილის ქარი გამოუშვეს. აქედან მოყოლებული შეუწყვეტლივ მოჰქროდა ცეცხლი, ფოლადის კბილთა ხრჭიალი შემზარავ ხმაურობას აყენებდა, ხოლო 42 სანტიმეტრიანი ვეშაპები სიკვდილის ღრუბელს თავზე ახვევდნენ სამხრეთისა და დასავლეთის ციხის ბურჯებსა. არც ერთი ქალაქში მყოფი არ მოელოდა ამ საშინელ ცეცხლს. ეს არაერთხელ მოახლოვებია მტერი ციხეს, ჰფიქრობდნენ, ვითომც ჩვენი ყურადღების მიპყრობა ჰსურთ, თორემ სხვა მხარეს აპირებენ შემოტევასაო. შეღამებისას ქუჩაზე შესწყდა ხმაურობა. სიცოცხლე მოკვდა. მხოლოდ ყარაულები არღვევდნენ სიჩუმეს.

— რახ-რახ-რახ!.. უეცრივ გაისმა ჰაერში. ახმაურდა მთელი მიდამო. ფანჯრებმა იწყო მსხვრევა. ისეთი საშინელი გრიალი ასტყდა, თითქოს ცა და დედამიწა ინგრევაო. ჰაერი იკეცებოდა. ხალხი და ძრწოდა, აღარ იცოდნენ ვის სად შეეფარნა თავი. ჩვენი ბატარეები გულმოდგინეთ უპასუხებდნენ. ელვა ელვას ეხლართებოდა, მაღლა ვარდებოდა და ჩამომავალ გზის ცეცხლით ღრუბლის ბადედ იხლართებოდა. წუთით ელვა წყვდიადსა სჭრიდა, წუთით ჰაერსა ჰკვეთდა და მოფუსფუსე ხალხს აფრთხობდა. ცეცხლის ალად შემოჭრილი ყუმბარა წუთით გაანათებდა სახლებს, სამხედრო ტაძარს, წუთით კი კვლავ წყვდიადი მეფდებოდა, გონების აღმრევი საშიშროება.

მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები სარდაფებში ჩაიმალა, მაგრამ ჟრუანტელი აქაც იპარებოდა და ტვინში ელქტრობის სახით უვლიდა ყველას. მთელს ღამის განმავლობაში მცხოვრებთ თავზე სახლებს გაჰქონდათ ზანზარი, მიწა ჰკვენსოდა, ტუჩებს ღრინცალი ჰხდებოდათ. ცხენოსანთა ქროლვა ყველას ახელებდა.

აქ სამი სასაფლაოა, მართლმადიდებლებისა, ლიუტერანებისა და კათოლიკებისა. აქ წინად ყრუ დუმილის მეტი არა სუფევდა რა, მაგრამ ატყდა თუ არა ზარბაზნების გრგვინვა, ღარიბმა მცხოვრებლებმა იგრიალეს და აქ შეაფარეს თავი, თუმცა შიშის ლანდი ფეხ და ფეხ მოსდევდა მათ და სიკვდილით ემუქრებოდათ.

მტერმა იერიში დაიწყო. ის ფორტი, რომელიც სოფელში ცნობილია „მეცხრე ბატარეიად“, მაღალს ადგილზეა აგებული, ვილკომირის ქუჩისა და შარა გზის შუა. ამ ფორტმა ასტეხა სროლა. მისი ზარბაზნები მთელს ქალაქს არყევდა, თითქოს დედამიწა ზანზარებდა.

აი, თვალის დახამხამებაზე განათდა სასაფლაო. აქა-იქ დედაკაცები დაჩოქილან, ლოცულობენ. ბავშვები გულზე ეკვრენ, მუხლებ ქვეშ ჩასცვენიან... აი უკანასკნელად გამოაჭენა ცხენოსანმა რაზმმა... ბნელი სილუეცი რაინდებისა ქუჩის წყვდიადში ჩაიკარგა. შეშინებული ხალხი მათ ცხენების ფეხის ხმას უგდებდა ყურს:—საით მიჰქრიან?—კითხულობენ. აი, განთიადმაც წამოიწია. ბნელი ზოლები ჰქრებიან... დაჭრილები მოჰყავთ. ჯარის კაცები ფერ წასული სხედან გულ-ხელ დაკრეფილნი. გათხუპნული მაზრებით...

ამოვიდა მზე. სისხლის ფერი, მძიმე, სისხლიან მინდვრებს დააშტერდა. ზარბაზნების ხმამ შესამჩნევად იკლო. სადლაც შორს გაისმა ხნა: „ურა... ურა!..“ სჩანს, ციხის „განცდის საათმა“ დაჰკრა. „ბატარეიკა“ კვლავ ახმაურდა. თითქოს დაჭრილი მხეცი ყოფილიყოს, იგი კბილთა ხჭენით ზარბაზნებს უშენს მოიერიშებს. მაგრამ მტერი არ სცხრება. მოდის... იხოცებიან, მაგრამ მოდიან... თითქოს უფსკრულიდან ამოდიანო!

საშინელი აფეთქების ხმა, მძიმე, გაზის გატენილი სისხლის ფერი ბურუსი... მიწა, ქვა, კლდე-ღრე ჰაერში მიჰქრის... ჰაერში იბნევა... გერმანელები ფუგასებზე მოჰხვდნენ... კიდევ აფეთქება...

გერმანელები თითქოს გაიცდნენ... სცდილობენ, გადასჭრან ფუგასების ლობე...ხალხი კი ფრთხება... საით წავიდნენ... როგორ უშველონ თავს? ვის ხელში ვართ? ციხე ვის ეკუთვნის? ასე გათავდა ეს პირველი იერიში...

მეორე დღეს იერიში განახლდა და... საბრალო ციხეც დაეცა... (ბ. ვ.)

სოფლის შეხედულობა თავის გაჭირვებაზე

უმაგალითო წყალდიდობისა და ნიაღვრების შემდეგ, რომელმაც მიწასთან გაასწორა ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, ყველა კუთხე, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ საანკეტო ფურცლები დაუგზავნა სოფლის ინტელიგენტებს ზარალის აღსანუსხავად. საქველმოქმედო საზოგადოებას ამ ჟამათ დიდძალი საპასუხო წერილები მოსდის, რომელთა შორის ძალიან ბევრი წერილი, ცხოვრებაზე თავისი ღრმა შეხედულობით, დიდად საინტერესონი არიან.

აი რას იწერება, მაგალითად, სოფ. მათხოჯიდან (ქუთაისის მაზრა) ბ-ნი ვარლამ ძიძიგური: „ღარიბების ზარალი მათხოჯში 25.650 მანეთისაა. ამ ანგარიშში არ შედის ხე-ტყის მოვაჭრე ფარულავას 10.000 მანეთის ზარალი და ბ-ნ ჩხიკვაძის კიდევ ზედმეტი ზარალი...

კარგად ხედავთ, ზარალი დიდია, მაგრამ ამით არც ულუკმაპუროდ დარჩება ვინმე, არც გაპროლეტარდება და სხ. მალე ისევ ყოველივე თავისს კალაპოტში ჩადგება. რა თქმა უნდა, დახმარების აღმოჩენა დაზარალებულთათვის საჭიროა, მეტადრე იმათთვის, ვინც ძალზე დაზარალდა მათხოჯში. მაგრამ ამით საქმე არ თავდება. ცხენის წყალი იმ თათრებსა, სპარსეთსა და მანღოლებს მოგვაგონებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველებს; დროგამოშვებით დაეცემოდნენ, წალეკავდნენ და დროგამოშვებით მიწყნარდებოდნენ; არ მოეშვნენ, მანამ უფსკრულში არ გადააგდეს საქართველო!.. ვისაც უნდა სოფელს დაეხმაროს, ვისაც სურს უზრუნველჰყოს მთელი ცხენის-წყლის ხეობა, მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მდინარის ნაპირების გამაგრებას. ამ გიჟი მდინარის კალაპოტში მომწყვდევას უნდა მოვახმაროთ ჩვენი ძალ-ღონე. ამაში უნდა დაგვეხმაროს მთავრობა, საქველმოქმედო საზოგადოება და სხვ. აქაური ხალხი, რომელსაც გარდა თავისი მარჯვენისა არა შერჩენია-რა, ასე გაიძახის: „მე ნუ მჩივით, მდინარეს მიხედეთ, ასე ნუ ათარეშებთ, ნაპირები გაუმაგრეთ, თავის კალაპოტში ჩააგდეთ“... კარგათ იცის ხალხმა, რომ თუ ეს ასე მოხდება, მისი მიწა-წყალი, დღეს რიყედ ქცეული, დროს განმავლობაში მოისილება, მონაკელდება. თუ ხალხის დახმარება გვინდა, ეს მისი თხოვნა უნდა შევასრულოთ, თორემ აღამახმადხანი (ცხენის-წყალი) ძალას მოიკრებს და ისევ წაგვლეკავს“.

ასეთია პრაქტიკული შეხედულება ხალხისა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ დროზე მივეშველოთ.

ლ. ლევანიძე.

სამეგრელოს სახალხო სკოლების ახალი ინსპექტორი

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით მეოთხე რაიონის (სამეგრელოს) სახალხო სკოლების ინსპექტორად დაინიშნა ბ-ნი სტეფანე დავითის ძე გაგუა. ქუთაისის საქალაქო სკოლის ინსპექტორი.

ბ-ნი სტ. გაგუა ჯერ ორკლასიან სკოლის მასწავლებლად იყო დაბა ზუგდიდში, შემდეგ იმავე სკოლის ზედამხედველად. შემდეგ ამისა უკვე შუახნის კაცმა და ცოლშვილით დატვირთულმა შეგირდობას ხელი მიჰყო და საოსტატო ინსტიტუტში სათანადო გამოცდები ჩააბარა და მიიღო საქალაქო სკოლის მასწავლებლის უფლება, რის შემდეგაც მასწავლებლად დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სკოლაში. ცოტა ხნის შემდეგ, ამავე სკოლის ინსპექტორობა მისცეს. და აგერ ცხრა წელიწადია რაც ინსპექტორის მოვალეობის ასრულებასთან ერთად, ხელმძღვანელობას უწევს ქუთაისის საქალაქო სასწავლებელთან დაარსებულ ორკლასიან საპედაგოგო კურსებს. ამ ცხრა წლის განმავლობაში ყოველ წლობით ოცამდე მომზადებულ მასწავლებელს უგზავნიდა სახალხო სკოლებს.

ბ-ნი სტეფანე დავითის ძე გაგუას დანიშვნა სახალხო სკოლების ინსპექტორად ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩმითვალოს, რადგანაც იგი გამოცდილი, გამრჯე და საქმეში ჩახედული პიროვნებაა, რომელიც თითქმის ოცდა თხუთმეტი წელიწადია, რაც საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობს, ამასთანავე როგორც მეგრელი, იგი უფრო ახლო მიუდგება მეგრელი ბავშვის სულს და მის აღზრდა-გაფურჩქვნას სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს.

მეგრელი.

სიმღერა

მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!
მშვიდობით, დედა მხარეო!
ომში მივდივარ: შვილებთან
ამბავი დამაბარეო.

მივდივარ, შორი გზა მიძევს,
უცნობი არე-მარეო;
წავალ და მოსვლა ვინ უწყის,
დამკოცნე, გამახარეო.

დავტოვე ტრფობა, ალერსი,
შენდამი სიყვარულიო,
მეთხოვებიან ქალები
და შენი გაზაფხულიო.

მტკვარი სიმღერით მაცილებს,
„ცრემლები უკუ ჰყარეო,
მტრისა ლაშქარი გააპე,
უდრკელად გაირეო;

მამაპაპურად ასწიე
ნაანდერძევი ხმალიო,
არ გამაწბილო, გეთაყვა,
არ დამიყენო თვალიო“.

მივდივარ, ვფიცავ მოძმეებს,
პირობას შევასრულებო,
თუნდაც ვკვდებოდე, მახსოვდეს,
მტერს მაინც დავავალებო.

გემთხვევი, ეხლა მშვიდობით!
მშვიდობით, დედა მხარეო,
მოჰყევი ამბავს, შორს მივალ,
ბევრი რამ დამაბარეო.

მიხა ქავთარაძე.

სადღეისო

(სოფლის მდგომარეობა)

ყველას კარგად ესმის და გათვალისწინებულიც აქვს ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ამ მოკლე ხანში ჩვენს სოფლებს.

შიმ-

შილმა

იმსხვერპლა

ქალი

კაცი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს უთუოდ, რომ დახმარება სჭირია. ადგილობრივმა ინტელიგენციამ უნდა გამოიჩინოს ასეთ დრო მოქალაქობრიობა, და გაორკეცებულის ენერგიით იმოქმედოს, რომ ზედმეტი უბედურება ააცდინოს ხალხს. მართალია არის კუთხეები სადაც ინტელიგენციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და ძალღონის დაუზოგავად დახმარება გაუწია უმწეო მდგომარეობაში მყოფ ხალხს, მაგრამ საუბედუროდ ეს მისაბაძი მაგალითი ჯერ-ჯერობით ყველგან ვერ შეიგნეს, ჯერ კიდევ არის ბნელი კუთხე, სადაც ადგილობრივ ინტელიგენციას, შეგნებულ ძალას სძინავს, მისცემია საღათა ძილს და გამოღვიძებასაც-კი არ აპირებს.

ასეთი კუთხე მრავალია სამეგრელოში. მართალია ზუგდიდის ინტელიგენციამ დიდი ფხა და უნარი გამოიჩინა ამ საქმეში, ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, და როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს პირნათლადაც აასრულეს თავიანთი მოვალეობა.

მაგრამ ნუ თუ სამეგრელოს მრავალ კუთხეს დააკმაყოფილებენ ესენი? არა! ყოვლად შეუძლებელია ისეთი დაბის ინტელიგენციამ, როგორიც ზუგდიდია შესძლოს იმდენი გაჭირვებულ სოფლების დახმარება-დაკმაყოფილება.

ამიტომ საჭიროა შეერთებული ძალით მოქმედება, რომ სოფელში ხალხი თანაბრად იქნეს დახმარება აღმოჩენილი— ნათესაობით და ნათლიობით განკერძოება არ მოხდეს.

იმედია ყველანი შეიგნებენ, რომ დროა, ვისაც რითაც შეუძლია მოძმეს დახმარება აღმოუჩინოს, ერთგულობა დაუმტკიცოს, ასეთ შემთხვევაში უთუოდ ყოველივე კარზე მომდგარ უბედურებას ვძლევთ და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება.

ძიკო გეგეჭკორი.

მკითხველთა საყურადღებოდ

გაზეთ „საქართველოს“ კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ და მკითხველთ, რომელთაც გაზეთი ეგზავნება, მაგრამ ხვედრი ფული კი არ გადაუხდიათ, ნუღარ დააყოვნებენ ფულის გამოგზავნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი კვირის შემდეგ გაზეთის გზავნა მოესპობათ.

24 მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 5 მანეთი, 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 4—50 კ. პირველ ოქტომბრამდე 2—25 კ. ერთის თვით 90 კ.

რედაქციის მისამართი: Тифлисъ, Московская 4, Редакція „Сакартвело“ почт. ящикъ 76.

„საქართველოს“ რედაქციის კანტორა.

სოფლის გაჭირვება

ვინაიდან ამ ჟამად ჩვენი სასოფლო სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებანი შეუდგნენ სოფლის გაჭირვების გამორკვევას, რათა მათ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ, საჭიროდ ვსთვლით აღვნუსხოთ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სოფლის მდგომარეობა, ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვით სოფლები. აი, მაგალითად, რას სწერენ საქველმოქმედო საზოგადოების სოფ. ძველი გავაზიდან (თელავის მაზრა):

„მთელი ოთხი თვის გამუდმებულმა წვიმებმა ისე ააჩალავა და ჩაალპო პურის მოსავალი, რომ ათეულს გალეწილს ძნას სალეწ მანქანაზე გამოდის ერთი ლიტრა ხორბალი (13 გირვანქა), მაშინ როდესაც წინად იმავე ათეულს გამოდიოდა 7—10 ლიტრა (91—130 გირ.). ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მოხნული მამულები წელს ცოტა იყო, რადგანაც მუშა ხელი აკლდა, ვინაიდან ჯარში გაწვეულთა რიცხვი 200 კაცს აღემატება. ბევრი მამული გათიბეს ბალახად, ბევრს სულ თავი დაანებეს. ამ მხრივ ძველ გავაზს მიეცა ზარალი 10,000 მან. ამავე მიზეზების და უშაბიამნობის გამო, რომლის ფასი ფუთზე 42 მანეთამდე ავიდა, ისე გაფუჰდა ვენახები, რომ მტერსაც კი შეზარავს. თუ მხედველობაში მივიღებთ წლევანდელ ფასებს ღვინოზე, ძველ გავაზელებს ამ მხრივ მოუვიდათ ზარალი 40,000 მანეთამდე. ამ უბედურებას ის კიდევ ართულებს, რომ წლეულს შემოდგომამდის ასაღებია გლეხებიდან სახაზინო და სასოფლო გადასახადი 15,000 მან. და წვრილი სესხისა (სასოფლო ბანკების) 12,000 მან.

„ჩემის (კორესპონდენტის) აზრით საქველმოქმედო საზოგადოება და მთავრობაც უნდა შეეცადნენ: 1) ზამთრისთვის, სოფლის ბაზარში უეჭველად გამოულეველი იყოს გასასყიდად ფქვილი ანუ ხორბალი ხელსაყრელ ფასებში; 2) ეხლავე დაურიგდეს ხალხს საღი პურის თესლი, რადგან ახალ (წლევანდელ) მოსავლის თესლი მშიერი და უვარგისია; 3) უეჭველად, თუ არ აპატიებენ, დააცადონ მაინც კარგ მოსავალამდე სახელმწიფო გადასახადები“.

ეხლა გავიგოთ, რას სწერენ იმავე საქველმოქმედო საზოგადოებას ზემო ქართლიდან:

„გომის საბოქაულოში ნიაღვრებმა დააზარალეს 5 ხეობა—წრომისა, ზორეთისა, ატენისა, ხვედურეთისა და ღვარეთისა. წრომისა და ზორეთის ხეობის მცხოვრებლებს ნიაღვარმა წაართვა ნახევარი ნათესობა პურისა, ქერისა და სიმინდისა. რაც შეეხება ატენის, ხვედურეთის და ღვარეთის ხეობებს, აქ ნიაღვრებმა წალეკეს ყოველგვარი ნათესი, დაგლიჯა ვენახები და ბევრს დაუნგრია სახლები, ბოსლები და სხვა შენობები. ზარალი დიდია, მე პირადად არ შემიძლიან მისი რაოდენობის გამოანგარიშება. ნამეტან გაჭირვებაში ჩაცვივდნენ ცოლშვილნი ომში გაწვეულ ხალხისა; ისინი ამ ჟამად შეხიზნული არიან სამადლოდ მეზობლებთან“.

ზემო მოყვანილი სანიმუშო წერილები იმდენად საკმაოდ გვისურათხატებს სოფლის გაჭირვებას კახეთსა და ქართლში, რომ მათი განმარტება ზედმეტად მივვაჩნია.

ლ. ლევანიძე.

„სამება ოქროს კარიანი“

15 ავვისტოს დუშელებმა, როგორც ყოველ-წელს გადაიხადეს აქეთ ცნობილი დღეობა „სამებობა“. დღეობას, აღარ ედვა ისეთი ელფერი, როგორც წინეთ, ამ ომის გამო ვერ მოახერხეს თვით „ოქროს-კარიანში“ წასვლა, რომელსაც დიდის ზეიმით ასრულებდნენ, და ამიტომ დღეობა ადგილობრივ ეგრეთწოდებულ „ყარანგოზიაანთ“ ქედზედ იქმნა გადახდილი ღამისთევით, სადაც შეკრებილიყვნენ დუშეთის ყმაწვილ-კაცობა, და მხიარულებდნენ, ცეკვავდნენ.

ვახშამზე თამადამ ს. ჭიაბრიშვილმა შესაფერისათ დაასურათა მნიშვნელობა ამ დღეობისა.

მეორე დღეს ადგილობრივ ეკლესიის მოედანზე, პარაკლისი იქმნა გადახდილი, მღვდელმა დ. მეტრეველმა აღნიშნა დღეობის მნიშვნელობა და მიულოცა იგი ხალხს.

დღეობა ისევ გაგრძელდა საღამომდის ხსენებულ შიდოხდ, სადაც დაედგათ მოხდილი კარავი, და იქვე ახლოს დროშა, დროშას მორიგეობით დარაჯობდნენ, დარაჯობის დროს, როდესაც მის ახლოს ხარ, იარაღით ხელში, გაგონდება ჩვენი სამშობლოს დიდებული წარსული, გაგონდება მისი მნიშვნელობა და დღევანდელი ისტორიული დრო და მაღლად ბრძოლის სურვილებში ეხვევი. აი ასეთი ნაშთი, ასეთი გადმოცემა შერჩათ დუშელებს, რაიც სასურველია შემდეგშიაც არ მოისპოს.

დამსწრე.

ძველი ლეგენდა

მიყვარს ძველ ცხოვრების წიგნის ფურცვლა, რომლის შეყვითლებულ გვერდებზე სისხლის ასოებით აღნიშნულია მშვენიერებით და სიბრძნით მოცული ლეგენდა კაცთა სიცოცხლისა. ეს ის წიგნია, რომელიც ეხლა, მხოლოდ შორეულ მკრთალ მოგონებად ღა ჩარჩენია ხსოვნაში გულცივ ადამიანს დ არ ჰსურს ათასში ერთხელ მოიგონოს მაინც... მე კი მაინც მიყვარს...

თესალიის მშვენიერი ზურმუხტოვანი, დაფნას წმინდა ხით შემოსილი მთები, ცხრა თვალა მზის, ოქროს ფეროვან სხივებში ბანაობდნენ. ყვავილთა სურნელება იკმეოდა გამჭვირვალე ჰაერში. იქ, ძევსეს სადიდებლად, გაისმოდა ბედნიერ ადამიანთა, ტკბილი, თავისებური გამოურკვევლობით მოცული სადიდებელი გალობა.

მშვენიერებით მოცულ ფერდობზე აღიმართებოდა სასახლე თესალიის დედოფლისა, საიდანაც, ვით ხელის გულზე, ისე მოსჩანდა ძევსეს მიერ კურთხეული სიყვარული სამშობლო მხარესი, აქედან იგი უმზერდა ყოველივეს, რაც ჰხდებოდა მის სამფლობელოში... ერი მისი, მას აღმერთებდა, მრავალი ტურფა მხევალი თავს დასტრიალებდა და თვალებში უმზერდა თავის მბრძანებელს. მბრძანებელი იგიც, უხვად გასცემდა მოწყალებას და თვით განიკითხავდა, სულით მაღალს. დროის მიერ დაცემულ შვილს თესალიისას... მას არა ჰსურდა ბედნიერება სხვა გვარი, მისი ბედნიერება ამაზე მაღლა ვერ წავიდოდა.

ყოველივეს აქვს დასასრული... დასრულდა დედოფლის ბედნიერებაც..

ერთს მშვენიერ დღეს, როს დედოფალი შესტრფოდა ამომავალ მზის სხივთ, მისი ქვეყანა მოიცვა საზარელმა სანახაობამ, ცეცხლის ალმა გაარღვია ლაჟვარდი ცა და გაისმა საზარელი, მომაკვდინებელი კივილი... დედოფალი შეჰკრთა, ვერ გამორკვეულიყო, ნუ თუ მისი მშვენიერი ქვეყანა იწვის იღუპება?.. ჰხედავს შავით მოსილი რაინდნი შემოსევიან და აღარაფერს არ ინდობენ, გზად ყოველივეს ცეცხლსა და მახვილს აძლევენ, მაგრამ რად, რისთვის, იგი მოდის შეეცილა სხვას ბედნიერებას, რომ მას ასე უხეშად ეცილებიან?

იღუპებოდა თესალია, მასთან ერთად მისი შვილნიც... ყოველივე ამას ჰხედავ-

და შეშინებულ მხევალთა გარს შემორტყმული დედოფალი ჰხედავდა იმასაც, თუ რაინდნი იგი ვით უახლოვდებოდნენ მის სასახლეს. სისხლით მოსილნი რაინდნი შეჩერდნენ სასახლის წინ, სახეზე დამცინავი ძლევამოსილის, გულდამსერავი ღიმილი უკრთოდათ.

„ვით გეგონა დედოფალო, ბედნიერება შენი ნუ თუ უსაზღვრო იქნებოდა. აწ დასტკბი, ხომ მოგიშხამე, უბადრუკობა!“—წარმოსთქვა ერთმა რაინდთაგანმა და სევდით მოცულ დედოფალს ჩააშტერდა ცრემლიან თვალებში...

„არა, უხეშო ძალავ, მე კვლავ ბედნიერი ვარ, და მოვკვდები ბედნიერი, მისთვის, რომ მაქვს იმედი, სამშობლო ჩემი კვლავ აჰყვავდება, და ძალა შენი, უხეში ძალა, განადგურდება. ეს ბუნების კანონია!..“

და მხევალმა მიართვა შხამით სავსე ფიალა რომელიც ძირამდის გამოსცალა ბედნიერმა დედოფალმა...

ნ. კეცხოველი.

დეპეშები

პარიჟი, 18 აგვისტო. როგორც ხმა დადის, ავიატორი პეგუ მოკლულია ბრძოლის ველზე. დაწვრილებით ცნობები არ მოსულა.

პეტროგრადი, 18 აგვისტოს. სამხრეთ-დასავლეთით რკინის გზის რევიზიის დროს აღმოჩნდა რომ სადგურ პერესპასა და ლუბიტოვსკზედ, და აგრეთვე მალოროტოსა და კრიმოსზედ (პრივისლიანდიის რკინის გზისას) ჩადენილია ბოროტმოქმედება, სადგურის უფროსის მიერ, რის გულისათვისაც გზათა მინისტრის განკარგულებით, ეცნობა უმაღლეს მთავარ შტაბს და დამნაშავენი სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

პეტროგრადი, სახელმწიფო სათათბირო: იმ სხდომის საიდუმლო ნაწილში, რომელიც ბ-ნი შინგარევის მოხსენების გამო იყო შემდგარი, სწრაფ განხილვის ღირსად სცნეს კანონპროექტი მეორე რიგის მოლაშქრეთა მოწვევის შესახებ.

სტოკჰოლმი, უდევალაში მეფე გუსტავის თანადასწრებით, დიდის ზეიმით აკურთხეს კარლ XII სადიდებლად აგებული ძეგლი. მეფემ პასუხი გასცა გუბერნატორის სასალამო სიტყვას და მოაგონა საზოგადოებას ის კარლ მე-XII-ის მეფობის დროს შექმნილი დიდება და წარმატება შვეციისა. გვახსოვდეს მარად ჩვენი სახელოვან წინაპართა მიღვაწეობა, გვახსოვდეს განსაკუთრებით ასეთ სერიოზულ დროში, როგორც ეხლა გვიდგას. ყოველი ჩვენი ზრახვა და მოქმედება შვეციის კეთილდღეობისთვის ზრუნვით უნდა იყოს გამოწვეულიო“.

სოფია, 18 აგვისტო. ჰერცოგ მეკლენბურგ-შვერინსკი, როგორც ამბობენ, იმ მიზნით ჩამოსულა, რომ გავლენა იქონიოს მეფესა და მთავრობაზე. იარაღი აალებინოს სერბიის წინააღმდეგ და ბულგარეთი ავსტრია-გერმანიის კავშირში მოაქციოს.

ათინა, 18 აგვისტო. გაზეთი „ესტიას“ შეუტყვია, რომ სერბიას ოთხთა შეთანხმების ნოტაზე პასუხის გაცემა გადაუდვია მანამდე, ვიდრე სერბიასა და საბერძნეთ შორის შეთანხმება მოხდებოდეს. სერბიამ მიიღო სახეში საბერძნეთის ზოგიერთი შენიშვნა საბერძნეთ-სერბიის საზღვრის შესახებ და თავის მხრივ წამოაყენა ზოგიერთი მოსაზრება საბერძნეთისა და სერბიის ტერიტორიულ მეზობლობის შესახებ, შეთანხმების სახელმწიფოსადმი გასაგზავნ თავის საპასუხო ნოტაში.

პარიჟი, დადასტურდა ავიატორის პეგუს სიკვდილი.

ოფიციალი, ფინანსების სამინისტროსაგან. იმპერიის სხვა და სხვა კუთხეში და უკანასკნელ დროს კერძოდ პეტროგრადში, დიდი მოთხოვნილებაა ხალხში ვერცხლის ხურდა ფულისა, რაც ვერ აიხსნება ვერავითარ გონიერი საბუთებით. ვინც აგროვებს და ინახავს ვერცხლის ფულს, ჰგონია, რომ იგი უფრო მეტი ღირს, ვიდრე ქაღალდის ფული, სცდებიან რადგან ვერცხლის ფული არ შეიცავს ისეთს ღირებულებას ვერცხლისას, რამდენიც სახელად აწერია. კანონით (ფულის კანონი მუხლი 14) ასი თუმანი ვერცხლის ფული იწონის ერთ ფუთს სამ გირვანქას და 91 მისხალს ანუ ერთ ფუთ ნახევარ ვერცხლისაგან კეთდება 910 მან. და 22 კაპ. მაშინ როდესაც ნამდვილი ფასი ნახევარ ფუთ ვერცხლისა არ აღემატება 440 მან. და ნახევარ ფუთი სპილენძი 13 მანეთს, ე. ი. ერთად ერთი ფუთი ვერცხლის ფული ღირს 453 მან. აღნიშნული პირები გარდა იმისა რომ დასჯილნი იქნებიან ადმინისტრატიულად ხურდა ფულის ბოროტად გამოყენებისათვის, აგრედვე გაუძნელდებათ გადასახადების შემოტანა რადგან კანონის ძალით (ფულის კანონი მუხლი 29) მხოლოდ სამი მანეთითაა განსაზღვრული თითო პირისათვის ხაზინაში ხურდა ფულის მოტანა. კანონის დადგენილების ძალით, კერძო პირებს უფლება აქვთ უარი სთქვან ხურდა ფულის მიღებაზედ და მოითხოვონ ქაღალდის ფული. ის პირები, რომელთაც ბევრი ხურდა ფული ექნებათ ვერცხლისა, გაჭირვებას განიცდიან, როცა წარუდგენენ სახელმწიფო კრებას ქაღალდის ფულზედ გამოცვლისათვის, რადგან ხურდა ფულის დათვლას ბევრი ხანი სჭირდება.

ჩვენი ცხოვრება

ქ. გორი. 16 მარიამობისთვეს გორის საზაფხულო საკრებულო დარბაზში ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორმა ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ფინლიანდიის ლიტერატურა მე-19 საუკუნეში და მისი წარმომადგენელნი“. ლექცია დაიწყო შუა დღის 12 საათზე; პირველად ლექტორმა მოკლედ გაგვაცნო თითქმის ყოველმხრივი ვითარება ფინლიანდიისა, სადაც თვით ყოფილა და ყველაფერი ნათქვამი დამყარებული იყო მის ნანახზე და დაკვირვებაზე. შემდეგ გადავიდა ფინლიანდიის ლიტერატურის მე-19 საუკუნის უმთავრეს წარმომადგენლებზე და დაახასიათა:

1. ლენროტი (1802—84 წ.), რომელმაც შეაგროვა ფინლიანდიის სახალხო სიტყვიერების ქმნილებანი, მეცნიერულად შეისწავლა, შეიმუშავა, წეს-რიგზე დაალაგა და გამოსცა; მანვე აღადგინა ტექსტი ეროვნულ-ხალხურ პოემის სახელად „კალევალასი“; უკანასკნელ პოემას იცნობს ყოველი ფინი და იქიდან ამოღებულ ადგილებს მღერის.

2. რუნებერგ, ნაციონალი მგოსანი, რომელიც ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ შეეკავშირებინა ფინები და შვედები; იმისი მისწრაფება, იმისი იდეალი იყო სამშობლო ერის კეთილდღეობა, წარმატება.

3. ტოპელიუსი (1818—98 წ.) იგი გარდა ლექსებისა, მოთხრობებისა და არაკებისა სწერდა აგრათვე შესანიშნავ პუბლიცისტურ თხუზულებებს და დიდად უწყობდა ხელს სამშობლოს პრესის განვითარებას, მის სახელის და პრესტიჟ-გავლენის ამაღლებას. დასასრულ ილაპარაკა პრესის განვითარებაზე, რედაქციებზე, გამომცემლობაზე, თანამშრომლობაზე და სხვა.

დედა აზრი და მიზანი ფინლიანდიის მე 19 საუკუნის ლიტერატურისა იყო სამშოლო მიწა-წყლის გამშვენიერება-მოწყობა, სამშობლო ერის კეთილდღეობა-წარმატება, სამშობლო კერის სიყვარული და ამაღლება.

იმავე ლექტორმა 14 მარიამობისთვეს წაიკითხა რუსულად „ქალთა ტიპები იბსენის შემოქმედებაში“. ვიდრე ლექციას დაიწყებდა ლექტორის წინადადებით ხალხმა პატივი სცა ადგომით განსვენებულ პოეტს ვაჟა-ფშაველას. პირველად ლექტორმა გააცნო მოკლედ საზოგადოებას იბსენის მეტად საინტერესო ცხოვრება. და დაახასიათა იგი, როგორც დიდი ინდივიდუალისტი, მებრძოლი პიროვნების განთავისუფლებისათვის ბრბოს ბრჭყალებისაგან, შემდეგ გადავიდა ქალების ტიპებზედ და სხვათა შორის დაახასიათა ნორა, გედა გაბლერი, ივლიდა და სხვანი; გაგვაცნო იბხენის შეხედულება ქორწინებაზე, ოჯახზე, ქალთა მოძრაობაზე და მოიყვანა იბსენის სიტყვები უკანასკნელისაგან წარმოთქმული მეჯლისზე 1898 წელს. მადლობელი ვარ სადღეგრძელოსთვის, მაგრამ უნდა გამოვაცხადო, რომ მე არ მეკუთვნის პატივი, ვითომ პირდაპირ ხელს ვუწყობდე ქალების მოძრაობას; მე თუ გნებავთ კარგად არ მესმის მისი ვითარება; ის საქმე რომლისთვისაც იბრძვიან ქალები მე მიმაჩნია საკაცობრიოთაო, დასასრულ მოიხსენია ბრანდი და ექიმი შტოკმანი, როგორც გამომხატველნი და მატარებელნი ინდივიდუალიზმისა.

ეს ლექცია მეტად შესანიშნავი და შინაარსიანი იყო და არ შემიძლიან მწუხარებით არ აღვნიშნო, რომ ხალხი ორივე ლექციაზე ძალიან ცოტა დაესწრო; ეს იმის ნიშანია, რომ გორის საზოგადოებამ ვერ შეიგნო სრულებით ლექციების მნიშვნელობა; ეს მოვლენა მით უფრო სამწუხაროა, რომ გულს უტეხავს ლექტორთ, რომელთაც ეკარგებათ ყოველივე სურვილი ლექციათა კითხვისა; მაგრამ ლექტორები არ უნდა შეშინდნენ ამ შემთხვევით, რადგანაც სტყუიან არა თვითონ, არამედ ხალხის შეუგნებლობა.

სოხო.

უადგილო გაფიცვა.

ყველას მოეხსენება რომ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია ეკონომიურად. არ არის განვითარებული მრეწველობა და მეურნეობაც, რომელიც ახასიათებს დღევანდელ ცხოვრებას ჩვენის ქვეყნისას, ძალიან დაქვეითებულია. ბოლო დროს თითქოს გამოღვიძება დაეტყო ჩვენს მეურნეობას და აქა იქა ქართველობა იწყობს მის განვითარებას დროის შესაფერ ტეხნიკის მიხედვით. აღნიშვნა იმისი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ აღორძინებას ჩვენი ქვეყნისთვის, მეტი იქნება, რადგან მისი მნიშვნელობა ყველამ უწყის. ვიდრე ჩვენი ხალხი ეკონომიურად წელში გამაგრდება ჩვენ ყოველის საბუთებით უნდა შეუწყოთ ხელი დიდმა და პატარამ. საქართველოში ქართველ მუშას უნდა ესმოდეს, რომ თუ კი იგი შესაფერის ხელფასს იღებს, ზედ-მეტი ხელ-ფასი არ მოითხოვოს რაც მწარმოებელს დააზარალებს და ხელს აალებინებს ისეთს საქმეებზედ, რომელიც სასარგებლოა თვით მუშისათვის თავდაპირველად და ეროვნული თვალსაზრისითაც ფასდაუდებელია.

შავი ზღვის პირი საუკეთესო ნიადაგია ჩაისა და თამბაქოსი. ქართველებმა ამ ბოლო დროს დაიწყეს ჩაის გაშენება. უკეთ რომ ვსთქვათ გურიაში მხოლოდ თ-დ მიიხეილ ნაკაშიძეს აქვს 10—12 დესეტინა ჩაის პლანტაცია. საქმე ახალი დაწყებულია და ჯერ ჩაყრილ კაპიტალს თავისი თავი ვერ გაუმართლებია. საჭიროა რამდენიმე წელიწადი რომ თავნი აღადგინოს და მერე სარგებელი მოიტანოს. საქმე დიდი სასარგებლოა მომავალში პატრონისათვის. ეროვნული თვალსაზრისითაც საქებური საქმეა რომ ჩვენი მემამულეები ინტენსიურად დაყენებულ მიწის კულტურას ეწევიან და საზოგადოებისათვისაც სასარგებლოა რომ ახლო-მახლო მცხოვრებთ სამუშაო გაიჩინეს, იმ სარგებლობის გარდა, რომელსაც ხელ-ფასის სახით იღებს გარემო მოსახლეობა, ისიც არის რომ ამ კულტურის ხელს პრაქტიკულად სწავლობენ მომუშავენი, რომელნიც მესაკუთრეები არიან მიწისა და სანერგითაც უფასოდ შეუძლიანთ სარგებლობა. თ-დი ნაკაშიძე ამ მხრივ წმიდა საქმეს ეწევა. ჩაის პლანტაციებში მუშაობენ ქალები, რომელნიც გარედ, შორს არ გაჰყავს ქართველობას სამუშაოდ; ბავშვები და მოხუცები, რომელნიც სხვა სამუშაოზედ არ ვარგანან და ეს უვარგისი ხელი კი თ-დ ნაკაშიძის მეოხებით, რომელსაც 40 ათასი მანეთი ჩაუყრია ამ საქმეში და ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის რომ ის გაინაღდოს, ეს უვარგისი ხელი, ვიმეორებ, ხელ-ფასს შოულობს და საშუალება ეძლევა თითონაც წაჰბაძოს მას და გააშენოს ჩაი და მანდარინა, რომელიც გლეხკაცს ფეხზედ წამოაყენებს.

სწორედ ეს მომუშავენი თ-დ ნაკაშიძის პლანტაციაში გაიფიცნენ, რითაც აზარალებენ თავიანთ თავს, რომ მოაკლდათ ხელ-ფასი და თ-დ ნაკაშიძესაც ხელს უშლიან ამ დიდ კულტურულ საქმეში.

თუ ჩვენი ფეხ-ადგმული წარმოება ჩვენისავე ხელით ჩავკალით როდესაც ამის მიზეზი არა გვაქვს, მაშინ ჩვენ ვკლავთ ჩვენს მომავალს. ჯერ ვიმუშაოთ დიდმა და პატარამ, გავაძლიეროთ ჩვენი ქონება და მერე გავიფიცოთ, რადგან მაშინ საბუთიც გვექნებოდა იმედიც გაფიცვის ნაყოფისა საზოგადოებრივ საქმის დაუღუპველად.

ხურვალელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ს. გურჯაანში გზად მომავალმა

დავკარგე შავი პორტფელი,

რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიჟუნია“, მოთხრობა „ტყვე“, მერეჟკოვსკის „ლეონარდო და-ვინჩი“-ს თარგმანი (პირველი წიგნის), ისტორიულ რომანის „ანდერძი“-ს მასალები და სხვ. წვრილმანი წერილები და საარტისტო მოწმობები.

არავისათვის ეს ნაწერები და ნაშრომი გამოსადეგი არ არის, ჩემთვის კი ძვირფასია.

ამიტომ ვთხოვ **კახეთის სამამასახლისოებს** ყურადღება იქონიონ და ხალხს გამოუცხადონ, რომ მპოვნელი ჩემგან მადლობასთან ერთად შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს.

ნახული უნდა წარუდგინონ ს. ბაკურციხეში ექიმ ანდრონიკაშვილს.

შალვა დადიანი.

გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრედვე ამანეთს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიური საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48
А. А. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Fonds Russe pour les prisonniers de guerre.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	2 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
ბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	2 „	58 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რ ინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ.
„ საგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—31)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-ძვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სამშობლო“
(გამოდის ქუთაისში)
ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით
გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან